ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ ჯ-10/011933918ა-17

"31" 01 2020 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, გაგრის ქუჩა №2-ში (საკ. კოდი №01.11.03.003.058) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ფაბრიკა – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №4575351 05.07.2019წ.

ქ. თბილისში, გაგრის ქუჩა №2-ში (საკ. კოდი №01.11.03.003.058) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

შენობაში არ არის მოწყობილი საევაკუაციო გასასვლელის აღმნიშვნელი ნიშნები. არ არის ასევე მოწყობილი ავტოსაშხეფი სისტემა და სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები.

"ა1" ღერძზე დამატებით მოწყობილია კედელი. შენობის გარეთ მდებარე ლითონის კიბეების გაბარიტები შეცვლილია. "ე" ღერძზე "ა1-ა2" მონაკვეთში არ ფიქსირდება კოლონა, ხოლო ღიობში გაუქმებულია კარი. "ე-ზ" მონაკვეთში "ა1" ღერძის გასწვრივ შენობაში დამატებულია ტიხრები და კარი, მოწყობილია დამატებითი სათავსო.

შემცირებულია "ჩასატვირთის" გაბარიტები, ასევე შემცირებულია "მაცივრების" გაბარიტები "7-13" მონაკვეთში. "მაცივრების" ნაწილში დამონტაჟებულია ლითონის მსუბუქი კონსტრუქციები, ასევე არ არის მოწყობილი "ხელოვნური (მექანიკური) განიავების" და "სახანძრო განგაშის" სისტემები.

"10" ღერძზე "ე-ზ" მონაკვეთში გაუქმებულია კედელი და მოწყობილია "ე" ღერძზე "10-13" მონაკვეთში, რომელზეც ასევე დამატებულია კარი. შეცვლილია "პროდუქციის დასაფასოებელის" გაბარიტი, ხოლო მის საპროექტო კარს მონაცვლებული აქვს ადგილი. აღნიშნული კარი დამონტაჟებულია სათავსოს შიდა მხარეს. "პროექტის დასაფასოებელში" გაუქმებულია კოლონების ნაწილი და დამატებულია ფანჯრები "9" ღერძზე. "გ" ღერძზე "9-9\" მონაკვეთში გაუქმებულია კარი.

"9-13" და "ა-გ" მონაკვეთში შეცვლილია კიბეების მოწყობა, შეცვლილია კედლების და ღიობების მოწყობა, შესაბამისად შეცვლილია სათავსოების გაბარიტები და რაოდენობა. სათავსოებში არ არის მოწყობილი წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყობილობები, ხელის ცეცხლმაქრის ადგილმდებარეობა შეცვლილია და მოწყობილია შენობის ფასადზე, არ არის მოწყობილი კვამლაღმომჩენები. აღნიშნულ მონაკვეთში სათავსოების იატაკის ნიშნული შეცვლილია. "9-13" მონაკვეთში "ა" ღერძის გარეთ დამატებულია ბაქანი კიბის საფეხურებით.

"ლ" ღერძის გარეთ მდებარე გადახურულ ბაქანზე მდებარე სათავსოს მონაცვლებული აქვს ადგილი, შეცვლილია მისი კარის ადგილმდებარეობა და გაღების მიმართულება. შეცვლილია შენობის გადახურვების სიმაღლეები. "ე" ღერძზე "2-5" მონაკვეთში ღიობების ადგილმდებარეობა შეცვლილია. შენობის გარეთ მდგომი კიბის მოაჯირების ნახატი შეცვლილია. "ლ" ღერძის გარეთ შენობის მიმდებარედ ფიქსირდება ბეტონის ფუნდამენტის მქონე ლიტონის სვეტები.

"ა1-ა2" მონაკვეთში მდებარე გადახურვის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

წარმოსადგენია დასკვნა ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე.

საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის, ამავე კოდექსის 83-ე და 177-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 62-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 28.01.2016წ. №41-ე დადგენილების, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „აისბერგ თბილისი"-ს, ქ. თბილისში, გაგრის ქუჩა №2-ში (საკ. კოდი №01.11.03.003.058) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ფაბრიკა – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №10/0119339184-17 05.12.2019წ. განცხადება.
№წ-10/0119339184-17 09.12.2019წ. ბრძანება.

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე